ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.03.2015 წ.-დან 16.04.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების , კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია სამი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. სამომავლო გეგმები, უახლოესი პერსპექტივები, რეკომენდაციები.

   მომხს: ნ. ხომერიკი.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ სამომავლო გეგმები, უახლოესი პერსპექტივები, რეკომენდაციები.

   მომხს: ზ.ცინცაძე.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ სამომავლო გეგმები, უახლოესი პერსპექტივები, რეკომენდაციები.
   მომხს: ე. სირაძე.

4. სკოლამდელი დაწესებულების მუშაკთა კვალიფიციური გადამზადების საკითხი;

   მომხს: ლ.საჯაია

5. ვაშნარის პრობლემის განხილვა;
   მომხს: ლ.საჯაია

6. მოქალაქეთა პერიოდული მიღება

აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად კომისია მუდმივად ინარჩუნებს კავშირს მოქალაქეებთან და ახორციელებს მოქალაქეთა პერიოდულ მიღებას. გვქონდა გასვლითი შეხვედრა სოფელ ძიმითში. აგრეთვე შევხვდით კოხის თემის მოსახლეობას.

ადგილზე გავეცანით პრობლემებს, რომლებიც მათ აწუხებთ და შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად დავხმარებოდით რამოდენიმე მათგანს.

მოვინახულეთ სოფელ ძიმითის საბავშვო ბაღი. გავეცანით და შევისწავლეთ პრობლემები, რომლებიც ამ ბაღს გააჩნია. დიდი ინტერესით გავეცანით ერთ-ერთი აღსაზრდელის საკითხს, რომელიც სმენადაქვეითებულია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. დავუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციას, ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის“ და მათთან რეკომენდაციით ბავშვის მშობელს ნება მივეცით მონაწილეობა მიიღოს ბავშვის აღზრდის პროცესში. თუმცა იგივე პიროვნებას დასაბუთებული უარი ეთქვა ანაზღაურების მიღებაზე, რომელსაც ის ითხოვდა , როგორც ძიძა.

7. ა(ა) იპ ,, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მოვინახულეთ ლიხაურის საბავშვო ბაღი. გავეცანით სკოლამდელი დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

აღსანიშნავია, რომ სააღდგომო დღესასწაულის გამო კომისიის აქტივობები რამდენიმე დღით გადაიწია, რაც კომისიას ხელს არ შეუშლის მუშაობაში. კომისია გეგმიურ ღონისძიებებს განახორციელებს მიზანმიმართულად.